სტატისტიკური ანგარიში

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური

2020 წლის I კვარტალი

თბილისი 2020

სარჩევი

03 შესავალი

04 ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია

05 სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური საჩივრის ავტორთა შესახებ

06 სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

07 სტატიკური ინფორმაცია სასამართლო ინსტანციების შესაბამისად

08 სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა შესაბამისად

09 სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომების შესახებ

11 სტატისტიკური ინფორმაცია გადაცდომის სახეებისა და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

1. საპროცესო ვადის დარღვევა

12 2. პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა

3. პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით

13 4. მოსამართლის მაღალ სტატუსთან შეუფერებელი ქმედება

5. სხვა გადაცდომის სახეები

14 დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებების სტატისტიკა

15 სტატისტიკური ინფორმაცია მომზადებული დასკვნებისა და სადისციპლინო სხდომების შედეგების შესახებ

ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Justice

human dynamics
public sector consulting

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური და არ ნიშნავს რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს

შესავალი

მეოთხე ტალღის რეფორმის შედეგად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე 2020 წლის 01 იანვრიდან შეიცვალა დისციპლინური გადაცდომის სახეები და დაიხვეწა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი. შედეგად, უფრო განჭვრეტადი გახდა მოსამართლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სახეები და ის 7 კატეგორიად დაიყო:

- ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს;
- ქმედებები, რომლებიც არღვევს მიუკერძოებლობის პრინციპს;
- ქმედებები, რომლებიც არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს;
- ქმედებები, რომლებიც არღვევს წესიერების პრინციპს;
- ქმედებები, რომლებიც არღვევს თანასწორობის პრინციპს;
- ქმედებები, რომლებიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს;
- სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის სტატუსს.

თითოეული კატეგორიის მიხედვით ჩამოყალიბდა დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობები. დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში შემოვიდა ხარვეზის ინსტიტუტი, რომლის მიხედვით თუ საჩივარში მითითებული არ არის მოსამართლის ვინაობა, საქმე ან/და დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი, დამოუკიდებელი ინსპექტორი საჩივრის ავტორს დაუდგენს ხარვეზს და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს არაუმეტეს 10 დღიან ვადას.

დამოუკიდებელ ინსპექტორს მიენიჭა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის უფლებამოსილება. კერძოდ, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის ან დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე, თუ: მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა; არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე ქმედების გამო გამოტანილი გადაწყვეტილება; მოსამართლეს

შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება; საჩივარი შეეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დამოუკიდებელ ინსპექტორს დაეკისრა გაწეული საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება[1]. შესაბამისად, მომზადდა წინამდებარე კვარტალური ანგარიში, რომელიც 2020 წლის 01 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას მოიცავს.

დოკუმენტში სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავებულია საქმეთა კატეგორიების, სასამართლო ინსტანციების, დისციპლინური გადაცდომებისა და მომზადებული დასკვნების შესაბამისად. ამასთან, გაანალიზებულია საჩივრის ავტორთა სტატუსისა და მოსამართლეთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები.

აღსანიშნავია, რომ ქეთევან ცინცაძის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შემდეგ (2019 წლის 12 დეკემბერი) ახალი დამოუკიდებელი ინსპექტორი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ თანამდებობაზე არჩეულ იქნა 2020 წლის 24 იანვრიდან. მართალია, გარკვეულ დისციპლინურ საჩივრებზე დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი გაჭიანურდა, თუმცა 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საქმეთა მოკვლევა ხორციელდება და გადაწყვეტილებები მიიღება კანონით დადგენილი ვადების სრული დაცვით.

ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა 2020 წლის 01 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით განსახილველად 36 დისციპლინური საჩივარი მიიღო, 2019 წლიდან[2] განსახილველად 28 დისციპლინური საჩივარი გადმოვიდა.

ამავე პერიოდში, შესაბამისი ფორმის დაცვის გარეშე 25 წერილი დარეგისტრირდა, რის შემდეგაც საჩივრის ავტორს გაეგზავნა საჩივრის ფორმა და შევსების დეტალური ინსტრუქცია.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ საჩივრების შესწავლის მიზნით გაიგზავნა 100-მდე წერილი და გამოთხოვილია წინასწარი მოკვლევისათვის საჭირო შესაბამისი ინფორმაცია. საქმეებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია საანგარიშო პერიოდში მიღებულია 80-ზე მეტი წერილის სახით.

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51[1] მუხლის მე-12 პუნქტი.

2. 2019 წელს აღნიშნულ საჩივრებზე წინასწარი მოკვლევისათვის კანონით დადგენილი 2 თვიანი ვადა არ იყო გასული.



სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური საჩივრის ავტორთა შესახებ[3]

საჩივრის ავტორთა შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება მოხდა სასამართლოში მიმდინარე საქმეში მათი სტატუსის შესაბამისად[4].

2020 წელს მიღებული 36 საჩივრიდან ავტორთა უმრავლესობას წარმოადგენენ სასამართლოში მიმდინარე დავის მხარეები და მათი რაოდენობა 64%-ს შეადგენს. წარმომადგენელთა მიერ შემოტანილი საჩივრების რაოდენობის მაჩვენებელი კი — 36%-ია.

საანგარიშო პერიოდში დისციპლინური სამართალწარმოება არ დაწყებულა დაინტერესებული პირების საჩივრების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის, სახალხო დამცველის წინადადებისა თუ მოხსენებითი ბარათების საფუძველზე.

3. წინამდებარე თავში გაანალიზებულია მხოლოდ 2020 წელს რეგისტრირებული საჩივრების შესახებ ინფორმაცია, რადგან 2019 წლიდან გადმოსული საჩივრების შესახებ ინფორმაცია ასახულია 2019 წლის ანგარიშში.

4. საჩივრის ავტორებს წარმოადგენენ: მხარეები, წარმომადგენლები (კანონიერი წარმომადგენლები, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები, ადვოკატები), დაინტერესებული პირები (საქმეში მონაწილე მხარის ოჯახის წევრი, სხდომაზე დამსწრე ან ნებისმიერი სხვა პირი), სახალხო დამცველი. ასევე, დისციპლინური სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციასა და მოხსენებითი ბარათების საფუძველზე.

საჩივრის ავტორები 2020 წელს მიღებულ საჩივრებში



სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების შესაბამისად [5]

2020 წლის პირველ კვარტალში შემოსული საჩივრების მაჩვენებელი საქმეთა კატეგორიების მიხედვით მეტწილად იმეორებს გასული წლების მონაცემებს. როგორც გასულ წლებში საქმეთა უმრავლესობა სამოქალაქო სამართლის საქმეებს შეეხება, ხოლო საჩივრის ავტორები ყველაზე მცირე რაოდენობით სისხლის სამართლის საქმეებში შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენაზე მიუთითებენ.

საქმეთა კატეგორიები



5. წინამდებარე თავში გაანალიზებულია მხოლოდ 2020 წელს რეგისტრირებული საჩივრების შესახებ ინფორმაცია, რადგან 2019 წლიდან გადმოსული საჩივრების შესახებ ინფორმაცია ასახულია 2019 წლის ანგარიშში.

სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლო ინსტანციების შესაბამისად [6]

საქმეთა განზოგადების შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის პირველ კვარტალში საჩივრების 69% პირველი ინსტანციის მოსამართლეებს, ხოლო 32% სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებს შეეხებოდა. 2020 წლის 01 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით საჩივრები არ იყო წარმოდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე.



6. წინამდებარე თავში გაანალიზებულია მხოლოდ 2020 წელს რეგისტრირებული საჩივრების შესახებ ინფორმაცია, რადგან 2019 წლიდან გადმოსული საჩივრების შესახებ ინფორმაცია ასახულია 2019 წლის ანგარიშში.

სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა შესაბამისად

საანგარიშო პერიოდში წინასწარი მოკვლევისათვის წარმოებაში არსებული 64 საჩივარი შეეხებოდა 62 მოსამართლეს. მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა სასამართლო ინსტანციებისა და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად შემდეგნაირად ნაწილდება:



სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი ითვალისწინებს 20 სხვადასხვა სახის დისციპლინურ გადაცდომას აღნიშნული გადაცდომებიდან საჩივრები შეეხებოდა მხოლოდ 7 სხვადასხვა ქვეპუნქტში ასახულ ქმედებას. ყველაზე მეტად საჩივრები წარმოდგენილი იყო საპროცესო ვადის დარღვევის; მოსამართლის მიერ პირადი ინტერესის გათვალისწინებით სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების და სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვის საფუძვლებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ 17 საჩივარში სხვადასხვა გადაცდომის სახეებთან ერთად საჩივრის ავტორები მიუთითებდნენ აქტის კანონიერებაზე, ხოლო მხოლოდ კანონიერება სადავოდ იყო გამხდარი 12 საჩივარში.

40	მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა
8	მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა
5	მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით
3	მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს
2	მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი
1	სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედება ნებისმიერი პირის მიმართ ამა თუ იმ საფუძვლით
1	მოსამართლის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული უფლებამოსილების, კერძოდ, სასამართლოს, სასამართლო კოლეგიის ან პალატის ხელმძღვანელის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება

0 მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით

0 მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოხატვა სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე. ამასთანავე, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება მოსამართლის მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით ამ საქმესთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და ტექნიკურ საკითხებზე განმარტებების გაკეთება

0 მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის შედეგის წინასწარ გამჟღავნება, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა

0 მოსამართლის მიერ ამ კანონის 72[1] მუხლის პირველი პუნქტის ან 72[2] მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა

0 მოსამართლის პოლიტიკურ გაერთიანებაში გაწევრება, მის მიერ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელება, საარჩევნო სუბიექტის ნებისმიერი ფორმით საჯაროდ მხარდაჭერა ან პოლიტიკური შეხედულების საჯაროდ გამოხატვა

0 მოსამართლის მიერ სასამართლოში საქმეთა განაწილებაში უკანონო ჩარევა

0 მოსამართლის მიერ კორუფციული სამართალდარღვევის, ანუ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 52, მე-7, მე-8, მე-10, მე-11, მე-13, 13[4], 13[5] ან 20[4] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღ-ვევის ჩადენა

0 მოსამართლის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლა

0 მოსამართლის მიერ პირადი და ინტენსიური (მეგობრული, ოჯახური) ურთიერთობის დამყარება უშუალოდ მის მიერ განსახილველ საქმეში პროცესის მონაწილესთან, რაც იწვევს მოსამართლის მიკერძოებას ან/და პროცესის მონაწილისთვის უპირატესობის მინიჭებას, თუ მას ჰქონდა ინფორმაცია მხარის შესახებ

0 მოსამართლის მიერ სექსუალური შევიწროების განხორციელება

0 მოსამართლის მიერ სასამართლოს თათბირის საიდუმლოების გამჟღავნება

0 სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ სასამართლო პროცესის სხვა მონაწილის მიმართ სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედების მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია

0 სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია

სტატისტიკური ინფორმაცია გადაცდომის სახეებისა და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

მნიშვნელოვანია ცალკე გამოვყოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომელი ინსტანციისა თუ საქმეთა განმხილველი კოლეგიის მოსამართლეთა მიმართ რომელი გადაცდომის სახე ჭარბობს საჩივრებში. ამ მიზნით, წინამდებარე თავში გაანალიზებულია სტატისტიკური ინფორმაცია 64 დისციპლინურ საჩივართან მიმართებით გადაცდომების სახეების შესაბამისად.

1. საპროცესო ვადის დარღვევა

მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის შესაძლო ჩადენის ფაქტზე 2020 წლის პირველ კვარტალში წინასწარი მოკვლევა მიმდინარეობდა 40 საჩივრის საფუძველზე.

აღნიშნული საჩივრები ძირითადად შეეხებოდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს, რომლებსაც უმეტესწილად პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები განიხილავდნენ.

საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

სამოქალაქო სამართლის	**საქმე – 20**
ადმინისტრაციული სამართლის	**საქმე – 13**
სისხლის სამართლის	**საქმე – 7**

ინსტანციების შესაბამისად

პირველი ინსტანცია –	**22 საჩივარი**
აპელაცია –	**15 საჩივარი**
კასაცია –	**4 საჩივარი**

2. პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა

მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვის თაობაზე წარმოდგენილი იყო 8 საჩივარი. აღნიშნული საჩივრები შეეხებოდა როგორც რაიონულ/საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოების წარმოებაში არსებულ საქმეებს.

პროცესის მონაწილეთა მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვის საფუძვლით დისციპლინური სამართალწარმოება ძირითადად მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი მოსამართლეების მიმართ.

საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

- სამოქალაქო სამართლის **საქმე – 2**
- ადმინისტრაციული სამართლის **საქმე – 2**
- სისხლის სამართლის **საქმე – 4**

ინსტანციების შესაბამისად

- პირველი ინსტანცია – **4 საჩივარი**
- აპელაცია – **4 საჩივარი**
- კასაცია – **0 საჩივარი**

3. პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით

დისციპლინური გადაცდომის სახე – მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით, მსჯელობის საგანი გახდა 5 საჩივარში. ხუთივე საჩივარი შეეხებოდა პირველი ინსტანციის მოსამართლეებს, მათ შორის 4 სისხლის სამართლის, ხოლო ერთი სამოქალაქო სამართლის საქმეს.

4. მოსამართლის მაღალ სტატუსთან შეუფერებელი ქმედება

3 საჩივარში შესაძლო დისციპლინური გადაცდომის სახედ მითითებული იყო მოსამართლის ისეთ ქმედებაზე, რომელიც არ შეეფერება მის მაღალ სტატუსს. აღნიშნული საჩივრებიდან 2 სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო 1 ადმინისტრაციული სამართლის საქმეს შეეხებოდა. თუმცა, სამივე საჩივარი წარმოდგენილი იყო პირველი ინსტანციის მოსამართლეთა მიმართ.

საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

- სამოქალაქო სამართლის **საქმე – 0**
- ადმინისტრაციული სამართლის **საქმე – 1**
- სისხლის სამართლის **საქმე – 2**

ინსტანციების შესაბამისად

- პირველი ინსტანცია – **3 საჩივარი**
- აპელაცია – **0 საჩივარი**
- კასაცია – **0 საჩივარი**

5. სხვა გადაცდომის სახეები

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობდა 4 საჩივარზე, რომელშიც ადგილი ჰქოდნა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის მხრიდან სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატულ დისკრიმინაციულ ქმედებას; ან მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმას, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი.

საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

- სამოქალაქო სამართლის **საქმე – 3**
- ადმინისტრაციული სამართლის **საქმე – 1**
- სისხლის სამართლის **საქმე – 0**

ინსტანციების შესაბამისად

- პირველი ინსტანცია – **3 საჩივარი**
- აპელაცია – **1 საჩივარი**
- კასაცია – **0 საჩივარი**

დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებების სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელმა ინსპექტორმა 64 საჩივარზე მიიღო 32 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ (3 საჩივარი გაერთიანდა ერთ წარმოებად და მიენიჭა ერთი ნომერი). მათ შორის:

- 2 საქმეზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლეთათვის სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო;
- 30 გადაწყვეტილება[7] შეეხებოდა მოსამართლეთა მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას.

მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერების თაობაზე წარმოდგენილი საჩივრები შეეხებოდა 21 სამოქალაქო სამართლის, 7 სისხლის სამართლისა და 2 ადმინისტრაციული სამართლის საქმეს. ინსტანციების შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილებები მოიცავდა პირველი ინსტანციის – 19, მეორე ინსტანციის – 13 და მესამე ინსტანციის 3 მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერების საკითხს.

გარკვეულ საქმეებზე დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა ნაწილობრივ მხოლოდ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლით პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ხოლო საჩივრებში მითითებულ სხვა სავარაუდო გადაცდომებზე კანონით დადგენილი წესით მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება და საქმის გარემოებების წინასწარი მოკვლევა ან მომზადებულია შესაბამისი დასკვნები.

აღსანიშნავია, რომ 1 საქმეზე ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივარი არ იქნა განსახილველად მიღებული.

7. გადაწყვეტილებები მიღებულია ინდივიდუალური მოსამართლეების მიმართ. შესაბამისად, საჩივრების რაოდენობა განსხვავებულია მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობისგან.

სტატისტიკური ინფორმაცია მომზადებული დასკვნებისა და სადისციპლინო სხდომების შედეგების შესახებ

დისციპლინური საქმის უკეთ გამოკვლევის მიზნით დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა როგორც სასამართლოებიდან, ისე სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოითხოვა საქმის მასალები, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები, მოიძია სხვადასხვა სახის წერილობითი მტკიცებულებები (ინფორმაცია სხდომის განრიგის შესახებ, მოსამართლეთა ქონებრივი დეკლარაცია და ა.შ.).

საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადდა 48 დასკვნა და 30 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ. დასკვნების განხილვის მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო სხდომა არ ჩატარებულა.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების უფლებით არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია, ისევე როგორც თვითაცილების უფლება დამოუკიდებელ ინსპექტორს არ გამოუყენებია არცერთ საჩივარზე.

თბილისი 2020